მცირე ეკონომიქსი
არასრული განხილვა

PDF generated using the open source mwlib toolkit. See http://code.pediapress.com/ for more information.
PDF generated at: Fri, 09 Nov 2012 08:40:17 UTC

შინაარსი

სტატიები

ეკონომიკა 1
მიკროეკონომიკა 3
მაკროეკონომიკა 4
განვითარების ეკონომიკა 5
ეკონომიკური გეოგრაფია 6
ეკონომეტრიკა 7
გეგმიური ეკონომიკა 7
ეკონომიკური სისტემა 8
მონეტარული პოლიტიკა 9
პოლიტიკური ეკონომია 9
საბაზრო ეკონომიკა 9
ფინანსები 10

მინიშნებები

სტატიის წყაროები და ავტორები 17
Image Sources, Licenses and Contributors 18

ლიცენზიის სტატია

ლიცენზია 19

ეკონომიკა

ეკონომიკა (ბერძ. οἶκος - სახლი, და νομος - ვმართავ, ანუ საოჯახო მმართველობა) სოციალური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. ეკონომიკა ზოგადად მოიაზრება, როგორც:

1. საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა.
2. მოცემული ქვეყნის ან მისი ნაწილის მეურნეობა, წარმოების დარგებისა და სახეობების ჩათვლით.
3. მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის საწარმოო ურთიერთობებს და მათ სპეციფიურ მხარეებს საზოგადოებრივი წარმოებისა და გაცვლის განსაზღვრულ სფეროში.

ტრადიციული ბაზარი ფიზიკური არენაა, სადაც გამყიდველები და მყიდველები ხვდებიან ერთმანეთს, ვაჭრობის საგნები გამოფენილია და მათზე გარიგებები ხდება.

ეკონომიკის ისტორია

მიღებულია აზრი იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას საფუძველი ჩაეყარა მე-18 საუკუნის ბოლოს ადამ სმიტის მიერ, რომელმაც შექმნა კლასიკური ეკონომიკური სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ადრინდელია ესპანელი სქოლასტიკოსების და ფსიქოკრატების აღმოჩენები. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ფიზიოკრატიული სკოლა იყო პირველი მეცნიერული ეკონომიკური სკოლა. მე-19 საუკუნეში კარლ მარქსმა მოახდინა ეკონომიკური აზროვნების სხვადასხვა სკოლების, შრომების (მათ შორის ადამ სმიტის) სინთეზი, იყენებდა რა ჰეგელის სისტემურ მიდგომას, შექმნა თავისი ნაშრომი "კაპიტალი" და მოძღვრება მარქსიზმი. მე-19-20 საუკუნეებში ეს ნაშრომი სოციალისტური ეკონომიკის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა, ამასთან საბაზრო ეკონომიკის, პირველ რიგში ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის მიმდევრების კრიტიკის ობიექტი იყო.

ამათ, ორივეს საპირისპიროდ, არსებობს ავსტრიული ეკონომიკური სკოლა, რომელიც არასოდეს წასულა კომპრომისზე და ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მარქსიზმი არამარტო ცრუ მეცნიერება იყო, არამედ კაცობრიობის "კიბოც". მისი მიმდევრები, საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ეკონომისტები, მენგერი, ბომ–ბავერკი, ვიზერი (19-ე საუკუნე), მიზესი, ჰაიეკი, ჰაბერლერი, როთბარდი და სხვები (20-ე საუკუნე), მეცნიერულად ასაბუთებდნენ, რომ სოციალიზმი შეუძლებელია და რომ ნებისმიერი კოლექტივიზმი ტოტალიტარიზმის დასაწყისია, რომ ფასი მხოლოდ სუბიექტური განსჯის საკითხია და არანაირი ფორმულით არ შეიძლება დაითვალო, და ა.შ.

ეკონომიკის დარგები

ეკონომიკური მეცნიერების ორი უმთავრესი დარგია *მიკროეკონომიკა* და *მაკროეკონომიკა*:

- მიკროეკონომიკა (ბერძნულად Micros - მცირე) - შეისწავლის დარგების, საწარმოების, საოჯახო მეურნეობების და სხვა ეკონომიკური ერთეულების ქცევას, აგრეთვე მათ ურთიერთგავლენას ბაზარზე, რის შედეგადაც ყალიბდება ფასები კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებაზე.
- მაკროეკონომიკა (ბერძნულად Macros - დიდი) - შეისწავლის ეკონომიკას, როგორც ეკონომიკური აგენტებისაგან შედგენილ ერთიან, მთლიან ორგანიზმს და მისი გავლენის კანონზომიერებებს:
  - ფასებისა და უმუშევრობის დონის საერთო კრებსით სიდიდეებზე;
  - საერთო მოხმარებასა და ინვესტიციებზე;
  - საერთო მოთხოვნილებასა და წინადადებებზე;
  - წარმოების მოცულობის ცვლილებებზე;
  - ეკონომიკურ ზრდაზე.

მაკროეკონომიკა ოპერირებს აგრეგირებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით. მისი განვითარება დაკავშირებულია კეინსის სახელთან (1920 წელი). მისი სისტემატიზაცია მოხდა 1930 წელს კეინსისა და სხვა მოაზროვნეების მიერ.

ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემა მრავალ სხვა დარგს მოიცავს, ესენია:

- განვითარების ეკონომიკა
- ეკონომიკური გეოგრაფია
- ეკონომეტრიკა
- საერთაშორისო ეკონომიკა
- საინფორმაციო ეკონომიკა
- სამხედრო ეკონომიკა
- საფინანსო ეკონომიკა
- საქალაქო ეკონომიკა
- შრომის ეკონომიკა

ეკონომიკური ცნებები და ტერმინები

გეგმიური ეკონომიკა - ეკონომიკური სისტემა – ეკონომიკური ფორმაცია - ეკონომიკური ზრდა - მოთხოვნა და მიწოდება - მონეტარული პოლიტიკა - მოხმარების თეორია -პოლიტიკური ეკონომია – საბაზრო ეკონომიკა – საერთაშორისო ვაჭრობა - სოციალური საბაზრო ეკონომიკა - ფინანსები - ფისკალური პოლიტიკა

ეკონომიკური სკოლები და მიმდინარეობები

პორტალი ეკონომიკა

- ავსტრიული ეკონომიკური სკოლა
- ინსტიტუციონალისტები
- ისტორიული ეკონომიკური სკოლა
- კეინესის ეკონომიკა
- კლასიკური ეკონომიკური სკოლა
- ლუიზიანის სკოლა
- მარქსისტული ეკონომიკა
- მერკანტილიზმი
- მწვანე ეკონომისტები
- ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლა

- სტოკჰოლმის სკოლა
- სოციალისტური ეკონომიკა
- ჩიკაგოს სკოლა
- ფიზიოკრატები
- ფეიბურგის სკოლა

რესურსები ინტერნეტში

- ეკონომიკისა და მდგრადი განვთარების სამინისტროს გვერდი [1]

მინიშნებები

[1] http://www.economy.ge/

მიკროეკონომიკა

მიკროეკონომიკა (სიტყვასიტყვით, მცირე ეკონომიკა) ინდივიდუალურ მომხმარებელთა, საწარმოთა და ინდუსტრიათა საქციელსა და მათ შორის პროდუქციისა და შემოსავლების გადანაწილებას შეისწავლის. ის იხილავს ინდივიდუმებს, როგორც მუშახელისა და კაპიტალის მომწოდებლებს, და ასევე, როგორც საბოლოო პროდუქტის მომხმარებლებს. ის აანალიზებს ფირმებს, როგორც პროდუქციის მომწოდებლებს, და ასევე, როგორც მუშახელისა და კაპიტალის მომხმარებლებს.

მიკროეკონომიკის მიზანია გაანალიზოს საბაზრო ფორმა ან სხვა ტიპის მექანიზმი, რომელიც აყალიბებს შესაბამის ფასებს საქონელსა და მომსახურეობებისთვის და/ან ანაწილებს საზოგადოების რესურსებს მათი მრავალი ალტერნატიული გამოყენების მიხედვით.

ძირითადი:

მომხმარებლის თეორია:

გოსენის კანონი (Gossen), ელასტიურობა,

წარმოების თეორია:

წარმოების ფუნქცია

მაკროეკონომიკა

მაკროეკონომიკა — ეკონომიკური მეცნიერების განშტოებაა, რომელიც შეისწავლის ქვეყნის მთლიანი (ან მისი ნაწილის, დარგის) ეკონომიკის ფუნქციონირებას, ისეთ საერთო პროცესებს და მოვლენებს როგორებიცაა - ინფლაცია, უმუშევრობა, საბიუჯეტო დეფიციტი, ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო რეგულირება და ა.შ. მაკროეკონომიკა ოპერირებს ისეთი ცნებებით, როგორებიცაა - საერთო მოთხოვნა და მოხმარება, საერთო მოწოდება, იყენებს აგრეგირებულ მაჩვენებლებს. მიკროეკონომიკა, ამის საპირისპიროდ, შეისწავლის ინდივიდუალურ მომხმარებელთა, ფირმათა და საწარმოთა ეკონომიკურ ქცევას (ინდ. მოთხოვნასა და მოწოდებას, და ა.შ.).

პირველად ეს ტერმინი გამოყენებულია 1933 წელს.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების უპირველესი ამოცანაა წარმოების, დასაქმების, ფასებისა და სხვა მსგავსი მოვლენების აღწერა, გაანალიზება , მათი დინამიკის ახსნა, აგრეთვე მათ შორის თანაფარდობის დადგენა, რომელიც განსაზღვრულ სისტემას უნდა დაექვემდებაროს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღწევა ჭეშმარიტი ანალიზი, რომლის საფუძველზე შემუშავებული იქნას ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა.

სისტემურობის პრინციპი მოითხოვდა იმას, რომ მთელ ეკონომიკას მისცემოდა საბაზრო ეკონომიკისებური ახსნა. ეს რთული ამოცანა გადაჭრა ინგლისელმა ეკონომისტმა, კეინზმა. მან გასულ საუკუნის 30-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა მაკროეკონომიკურ თეორიას, რომლის საგანია მთლიანად ეროვნული ეკონომიკური სისტემის, როგორც მაკრობაზრის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მაკროეკონომიკურ პრობლემათა შორის განიხილავენ შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, ინფლაციას, მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებას, ეკონომიკურ ზრდას, საზოგადოებრივ აღწარმოებას, საერთო ეკონომიკურ პროპორციებს, ეროვნული შემოსავლის დაყოფას დაგროვებისა და მოხმარების ფონდებად, ეფექტიანობას, ფასების საერთო დინამიკას, ფულაფსაკრედიტო სისტემას, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და სხვ. მაკროეკონომიკური ანალიზი აისახება შესაბამის მაჩვენებლებში.

განვითარების ეკონომიკა

განვითარების ეკონომიკა — ეკონომიკის ერთ-ერთი შტო, რომელიც შეისწავლის (1) მაკრო - გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის შედეგებსა, და (2) მიკრო - ინდივიდუალურ მეურნეობათა და საწარმოთა წამახალისებელ ფაქტორებს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. მასში შეიძლება გამოყენებულ იქნას მათემატიკური მოდელები დინამიური სისტემებიდან, როგორიცაა დიფერენციალური ტოლობები და ინტერ-ტემპორალური ოპტიმიზაცია, ან ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის მეთოდები.

განვითარების ეკონომიკა ასევე მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა მესამე მსოფლიოს დავალიანება, და ფუნქციები ისეთი ორგანიზაციებისა, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. ამ განხრით მომუშავე ეკონომისტების უმრავლესობის შესწავლის საგანია სტაბილური და გარანტირებადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ღარიბ ქვეყნებში, რომელიც დაეყრდნობა საკუთარ რესურსებსა და განათლებას მსოფლიოს ყველაზე დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში. ეკონომიკური საკითხების სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებთან ერთად კვლევას განვითარების შესწავლა ჰქვია.

შედარებით გვიანდელი ჰუმანური განვითარების თეორიები ცდილობენ არ შემოიფარგლონ მხოლოდ განვითარების ეკონომიკური ბერკეტებით და სოციალური განვითარების ასპექტებიც შემოაქვთ სწავლის საგნად, მაგ. ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა en:Genuine Progress Indicator, რომელიც ეყრდნობა გადანაწილებული სამართალის თეორიას (en:theories of distributive justice).

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი განვითარების ეკონომისტი არის ნობელის პრემიის ლაურეატი ამარტია სენი.

ლიტერატურა

- Jomo K.S. (2005), *Pioneers of Development Economics: Great Economists on Development*, Zed Books - the contributions of economists such as Marshall and Keynes, not normally considered development economists
- Ben Fine and Jomo K.S. (eds, 2005), *The New Development Economics: Post Washington Consensus Neoliberal Thinking*, Zed Books
- Peter Griffiths (2003), *The Economist's Tale: A Consultant Encounters Hunger and the World Bank*, Zed Books

ეკონომიკური გეოგრაფია



მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP)ქვეყნების მიხედვით, 2008 წ.

ეკონომიკური გეოგრაფია — საზოგადოებრივი გეოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური საქმიანობის განაწილებას და სივრცულ ორგანიზაციას. ერთი გაგებით, იგი შეისწავლის საზოგადოებრივ (სოციალურ-ეკონომიკურ) პროცესთა გეიგრაფიულ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, ხოლო მეორე, უფრო თანამედროვე გაგებით, ეკონომიკური გეოგრაფია მხოლოდ ეკონომიკის დარგების გეოგრაფიაა და შეისწავლის წარმოების განლაგების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს. ის საკმაოდ ფართო დისციპლინაა და მისი შესწავლისას ეკონომ-გეოგრაფები სხვადასხვა განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებენ.

ეკონომიკური გეოგრაფიის შემადგენელი ნაწილებია:

- სოფლის მეურნეობის გეოგრაფია
- მრეწველობის გეოგრაფია
- საერთაშორისო ვაჭრობის გეოგრაფია
- ბუნებრივი რესურსების გეოგრაფია
- ტრანსპორტისა და კომუნიკაციების გეოგრაფია
- და ა.შ.

რესურსები ინტერნეტში

- EconGeo Network [1]
- სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობანი [2]

მინიშნებები

[1] http://econgeo.net/
[2] http://sasi.group.shef.ac.uk/

ეკონომეტრიკა

ეკონომეტრიკა (ინგლ. Econometrics) — ეკონომიკის სფერო, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური თეორიების ემპირიულ ანალიზს მათემატიკური სტატისტიკისა და მასზე დაყრდნობილ დასკვნათა მეთოდების გამოყენებით.

ეკონომეტრიკა მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური კანონებისა და მათი ურთიერთქმედების ემპირიულ ანალიზს, აყალიბებს ეკონომიკურ მოდელებს, საფუძვლად იყენებს რა ეკონომიკურ თეორიას იძლევა მოდელის პარამეტრების შეფასებას, პროგნოზს და რეკომენდაციებს ეკონომიკური პოლიტიკის ნორმატივების შესახებ. ეკონომეტრიკა ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი ანალიზია.

ეკონომეტრიკამ ფართო გამოყენება ჰპოვა ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მახასიათებლების პროგნოზირების კუთხით, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთი, ინფლაციის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტი. ეკონომეტრიკისადმი მზარდი ინტერესია სხვა მეცნიერებებშიც, რაც ძირითადად გამოიხატება ეკონომიკური ტიპის ინდიკატორთა კავშირის შესწავლით სხვადასხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ ასპექტთან. ამ მხრივ, აღსანიშნავია ნაშრომთა უზარმაზარი სერია განათლების სფეროში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი იკვლევს თუ რა გავლენა აქვს აკადემიური განათლების ყოველ შემდგომ წელიწადს ინდივიდის სამომავლო შემოსავალზე. კარგ მაგალითს წარმოადგენს ასევე ეკონომეტრიკის ვიწრო მიმართულება, რომელიც დაკავებულია პოლიტიკური კამპანიის დანახარჯების ზეგავლენის შესწავლით არჩევნების საბოლოო შედეგზე.

ლიტერატურა

- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 71, თბ., 1979 წელი.

გეგმიური ეკონომიკა

გეგმიური ეკონომიკა — ეკონომიკური სისტემა, რომელშიც პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასა და განაწილების გადაწყვეტილებებს ერთი პირი (ორგანიზაცია) იღებს. ყველაზე ხშირად ტერმინი გამოიყენება ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის აღსანიშნავად, სადაც ასეთი ორგანიზაცია მთავრობაა.

გეგმიური ეკონომიკის განხორციელების მაგალითებია: საბჭოთა კავშირი, კუბა, ჩრდილოეთი კორეა.

მომხრეთა არგუმენტები

გეგმიური ეკონომიკის მომხრეები მიუთითებენ, რომ ფირმები და კორპორაციები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი თავისუფალი ბაზრის პირობებში მოქმედებენ, თავად, როგორც წესი, სწორედ გეგმიურ ეკონომიკურ სისტემებს წარმოადგენენ.

ლიტერატურა

- Gregory Grossman (1987): "Command economy," *The New Palgrave: A Dictionary of Economics*, v. 1, pp. 494–95.
- Carl Landauer (1947): *Theory of National Economic Planning*. University of California Press. Berkeley and Los Angeles, Second edition.
- Alec Nove (1987): "Planned economy," *The New Palgrave: A Dictionary of Economics*, v. 3, pp. 879–85.
- Myant, Martin; Drahokoupil, Jan (2010), *Transition Economies: Political Economy in Russia, Eastern Europe, and Central Asia*, Wiley-Blackwell, ISBN 978-0-470-59619-7

ეკონომიკური სისტემა

ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს (კანონმდებლობის სისტემასთან, პოლიტიკურ სისტემასთან, კულტურულ და სხვა სისტემებთან ერთად). განსაზღვრავს ამა თუ იმ საზოგადოებაში საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების და მოხმარების სქემას. ცენტრალურ საკითხს წარმოადგნეს ადამიანებისა და ორგანიზაციების დამოკიდებულება რესუსრებთან (მაგ:საკუთრების უფლება). ხშირად დაკავშირებულია საზოგადოებაში გაბატონებულ იდეოლოგიასთან.

ეკონომიკური სისტემის ძირითადი ტიპებია:

- საბაზრო ეკონომიკა
- გეგმიური ეკონომიკა
- შერეული ეკონომიკა
- ტრადიციული ეკონომიკა
- მონაწილეობითი ეკონომიკა

მონეტარული პოლიტიკა

მონეტარული პოლიტიკა (ინგლ. Monetary Policy) არის მაკროეკონომიკური პროცესი, რომელიც მართავს ქვეყანაში ვალუტის მარაგს, რათა მიაღწიოს ისეთ ეკონომიკურ მიზნებს, როგორებიცაა ინფლაციისა და დეფლაციის შემცირება, ვალუტის კურსის მონიტორინგი და მოსახლეობის სრული დასაქმება. მონეტარულ პოლიტიკას ძირითადად მართავს ეროვნული ბანკი.

პოლიტიკური ეკონომია

პოლიტიკური ეკონომია (**პოლიტეკონომია**) – ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა მე–18–19 საუკუნეებში სახელმწიფოში წარმოების პროცესების ორგანიზების შემსწავლელი მეცნიერების აღსანიშნავად. მოგვიანებით შეიცვალა ტერმინით "ეკონომიკა".

საბაზრო ეკონომიკა

საბაზრო ეკონომიკა (ასევე **თავისუფალი ეკონომიკა**) — ბაზრის თვითრეგულაციის საწყისებზე ორგანიზებული ეკონომიკა, რომელშიც მოქმედებათა კოორდინაცია ხორციელდება ბაზრებზე თავისუფალ კერძო მეწარმეთა და თავისუფალ ინდივიდუალურ მომხმარებელთა ურთიერთქმედებით. მისი საპირისპირო სისტემაა გეგმიური ეკონომიკა.

საბაზრო ეკონომიკა ემყარება შემდეგ პრინციპებს: თავისუფალ მეწარმეობას, წარმოების საშუალებებზე საკუთრების მრავალფეროვნებას, საბაზრო ფასწარმოქმნას, ბაზრის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებს.

ლიტერატურა

- Peter Gillies: *marktwirtschaft.de*. Frankfurter Institut/Stiftung Marktwirtschaft, Bad Homburg 2000, ISBN 3-89015-073-X.
- Werner Güth: *Theorie der Marktwirtschaft*. Springer, Berlin 2007, ISBN 3-5406-0904-0.
- Michael von Hauff: *Von der Sozialen zur Nachhaltigen Marktwirtschaft*. In: ders. (Hrsg.): *Die Zukunftsfähigkeit der Sozialen Marktwirtschaft*. Marburg 2007, S. 349–392.

ფინანსები

ფინანსები (*ლათ. financia* - ფული, შემოსავალი) — ყველა მატერიალური რესურსის ერთობლიობა, მოქცეული ცალკეული პირის, ორგანიზაციის ან სახელმწიფოს მმართველობაში. არსებობს ასევე ამავე სახელწოდების ვრცელი მეცნიერება - ფინანსები. სიტყვა *ფინანსები* ყოფიერებაში ხშირად იხმარება, როგორც ფულის აღმნიშვნელი სიტყვა. ზმნა *დაფინანსება* ნიშნავს «ფულის მიწოდებას». ფინანსების სფეროს უმნიშვნელოვანესი ცნებაა - ბიუჯეტი.

ნიუ-იორკის სააქციო ბირჟა (ინგ. The New York Stock Exchange - NYSE), მეტ-სახელით "დიდი დაფა", ფინანსური სამყაროსა და კერძოდ აშშ ფინანსური სიძლიერის სიმბოლო.

ფინანსები, როგორც მეცნიერება

ფინანსები, როგორც მეცნიერების დარგი - შეისწავლის ფულს და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელებიც უკავშირდება მატერიალური რესურსების ფორმირებას, განაწილებას და მოხმარებას. ფინანსები — ეს არის ეკონომიკური, გამოყენებითი დისციპლინა.

ფინანსები, ტრადიციულად იყოფა - საზოგადოებრივ და კერძო კატეგორიებად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: სახელმწიფო ფინანსები და ადგილობრივი, მუნიციპალური ფინანსები. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება:

1. პირადი და ოჯახის ფინანსები;
2. მცირე ბიზნესის, კორპორაციული (საწარმოების და ბიზნესის ფინანსები), საბანკო (საბაკო საქმე) და არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსები.

უოლ-სტრიტი ამერიკის საფინანსო ცენტრი

საზოგადოებრივი ფინანსებში პირველადი განხილვის საგანია ”გასავლები”, რამდენადაც ამ სახის ორგანიზაციის მიერ ხორციელდება მკაცრად რეგლამენტირებულ საზოგადოებრივ ამოცანათა ფინანსირება. კერძო ფინანსებისთვის პირველადია შემოსავლის მიღება და საქმიანობის სრულად წარმართვა ამ შემოსავლის მისაღებად, რომელიც განაპირობებს მოგებას და რომელიც, თავის მხრივ იხარჯება მისი მფლობელი პირის (პირების) გათვალისწინებით.

ფინანსების მართვას (ზოგადად) და შეიძლება ითქვას მართვის ხელოვნებას, სწავლობს მეცნიერება - **ფინანსური მენეჯმენტი**. საბანკო ფინანსების მართვა შეისწავლება **საბანკო საქმის** მეცნიერების ფარგლებში. **ფინანსურ ბაზრებს** სწავლობს მეცნიერება, რომელსაც ეწოდება **ფინანსური ეკონომიკა**. სტატისტიკის მცირე, თანამოსახელე ნაწილი შეისწავლის **ფინანსურ სტატისტიკას** . ფინანსური ინფორმაციის დამუშავების მეთოდებს შეისწავლის გამოყენებითი მათემატიკის მეცნიერება. ფინანსური ნაკადების კონტროლი შეისწავლება **ფინანსური კონტროლის** დისციპლინის ფარგლებში.

ძირითადი ფინანსური კონცეფციების მაგალითები

ფინანსური აქტივობა (საქმიანობა) - ეს არის იმ მეთოდებისა (ტექნიკის) და პროცედურების გამოყენება, რომლებსაც კერძო პირები და ორგანიზაციები, საკუთარი ფინანსების სამართავად მიმართავენ. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **სხვაობა** - **შემოსავლებსა** და **გასავლებს** შორის და ასევე **ინვესტიციის რისკის შეფასება**.

თუ **შემოსავლები** აჭარბებს **გასავლებს** (ანუ ადგილი აქვს **პროფიციტს**), მაშინ სხვაობა შეიძლება გაიცეს სესხად ან ჩაიდოს რაიმე ბიზნესში, ან მოხმარდეს საკუთრების შესყიდვას. სწორედ ამაშია ფინანსური აქტივობის არსი - თუ არსებობს თავისუფალი ფინანსური რესურსი, მაშინ ის უნდა გაეშვას საქმეში, რომ მოიტანოს დამატებითი შემოსავალი.

თუ **გასავალები** აჭარბებს **შემოსავლებს** (ანუ ადგილი აქვს **დეფიციტს**), მაშინ, როგორც წესი შესავსები ხდება ფინანსური რესურსის დანაკლისი. ეს შეიძლება მოხერხდეს საბანკო კრედიტის აღებით, ან ბირჟაზე აქციების გამოშვებით. თანამედროვე მსოფლიოში მსესხებელს არ სჭირდება კრედიტორის ძებნა - საჭიროა მიმართვა ბანკში, ბირჟაზე ან სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტში, რომელიც განსაზღვრული საკომისიო გადასახადის საფასურად მოძებნის კრედიტორს. ან პირიქით - კრედიტორისთვის მოძებნის მსესხებელს. კერძოდ, რაც უფრო აქტიურად და კარგად მუშაობს საბანკო და საბირჟო სისტემა - მიტ უფრო აქტიურია და მდგრადია ქვეყნის ეკონომიკა (მთლიანობაში). ეს არის ძირითადი მაკროეკონომიკური წესი, რომელსაც გამონაკლისი არ გააჩნია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბანკი, უმეტეს (ძირითად) შემთხვევაში საშუამავლო სამსახურს წევს მსესხებლებსა და კრედიტორებს შორის. პრაქტიკაში ეს თანამშრომლობის მოდელი ასე გამოიყურება: კრედიტორი (მეანაბრე) მიმართავს ბანკს და იქ, საბანკო ანგარიშზე, დებს საკუთარ თავისუფალ ფულს ანუ ანხორციელებს ეგრეთ წოდებულ დეპოზიტს (ან ანაბარს), რომ შემოსავლის სახით, განსაზღვრულ ვადაში, მიიღოს პროცენტული დარიცხვა მისი ანაბრიდან. შემდეგ ბანკში მიდის მსესხებელი, იმისთვის, რომ მიიღოს კრედიტი (სესხი). ბანკი გასცემს მეანაბრის ფულს - მსესხებელს, განსაზღვრული პროცენტის გადახდის გათვალისწინებით. ეს პროცენტი გულისხმობს მოგებას, როგორც მეანაბრისთვის, ასევე თავად ბანკისთვის და ასევე, დამატებით პროცენტს, რომელიც წესდება დაუბრუნებელი ან გართულებული სესხის ზარალის მოსალოდნელი რისკისგან თავის დასაცავად.

ბირჟა, ასევე ემსახურება კრედიტორების და მსესხებლების დაკავშირებას, მაგრამ განსხვავებით (ერთერთი განსხვვება) ბანკისგან, მას არ გააჩნი საკუთრი "ფინანსური ბუფერი", ანუ არ შეუძლია ფულის დეპოზიტზე განთავსება, მანამდე სანამ არ გამოცნდება მსესხებელი. ბირჟა აკავშირებს მსესხებელსა და კრედიტორს, მხოლოდ რეალურ დროში. ბანკს კი შეუძლია გადაინახოს თანხები, ანუ კრედიტორი (დეპოზიტრს, მეანაბრეს) შეიძლება ბანკში მოვიდეს "დღეს", მსესხებელმა (პირი რომელსაც სურვილი გააჩნია სესხი აიღოს მეანაბრისგან) კი შეიძლება ბანკს მიმართოს თუნდაც "ერთი თვის" შემდეგ.

გარდა აღნიშნულისა, ბირჟა ვაჭრობს შენატანებით და კრედიტებით - სახეცვლილი, უნივერსალური ფორმით. კრედიტის მიღების მსურველი, საბირჟო ვაჭრობაში უშვებს აქციებს ან ობლიგაციებს. აქცია წარმოადგენს მფლობელის წილს მსესხებლის კაპიტალში, და ამავდროულად შეიძლება შეასრულოს კრედიტის უზრუნველყოფის ფუნქცია. ობლიგაცია ასევე არის კრედიტის სახეობა, მაგრამ იგი, განსხვავებით აქციისაგან, არ იძლევა მსესხებლის საკუთრების უფლებას, თუმცა შეიძლება გულისხმობდეს რაიმე, ცალკე საგარანტიო უზრუნველყოფას. აქციებზე და ობლიგაციებზე ასევე შეიძლება დაერიცხოს პროცენტები (დივიდენდები). თუ აქციას არ დაერიცხება დივიდენდები, მაშინ საგულისხმოა, რომ იგი ვაჭრობისთვის მომხიბვლელია, მისი ფასის მოსალოდნელი ცვლილებით. მაგალითად - კრედიტორი, რომელიც შეისყიდის აქციებს, ალბათ მიიღებს მოგებას, როდესაც მათ გაყიდის გაძვირებული ფასით.

ფინანსური მომსახურება

ფინანსურ მომსახურებას განეკუთვნება

- საბანკო ოპერაციები
- დაკრედიტება
- უძრავი ქონების დაკრედიტება (იპოთეკა)
- დაზღვევა
- ლიზინგი
- საბირჟო მომსახურება (საბროკერო მომსახურება)
- ფინანსური რესურსების მინდობილობით მართვა.

ასევე არსებობს მიკროდაფინანსების და მიკროდაკრედიტების მიკროსაფინანსო მომსახურების ცნება; მიკროდაზღვევა და მისი მსგავსი სხვა. ეს მომსახურებები განსაკუთრებით გავრცელებულია განვითარებად და ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეებს, მათი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ გააჩნიათ საშუალება ისარგებლონ მოცულობით მნიშვნელოვანი ფინანსური მომსახურებით.

ფინანსური ბაზრები

ფინანსური ბაზარი - ეს არის ბაზარი, რომელიც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს ბირჟას, სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობას, ვაჭრობას ფინანსური აქტივებით, ფინანსური რისკების მართვას და ინვესტიციების ხელშეწყობას. არსებობს ფინანსური ბაზრების შემდეგი და სხვა სახეობები:

- ფასიანი ქაღალდების ბაზარი - ეს ბაზარი ემსახურება ფასიანი ქაღალდების გამოშვებას და ყიდვა-გაყიდვას.
- საფონდო ბაზარი - ამ ბაზარზე ხდება ვაჭრობა აქციებით, პაებით და ქვოტებით.
- ობლიგაციბის ბაზარი - გულისხმობს მომსახურებას ობლიგაციების, დებენტურების და სხვა ფინანსური ვალდებულებების ყიოდვა-გაყიდვის საქმეში.
- სავალუტო ბაზარი - ვალუტის ბაზარზე მიმდინარეობს ვაჭრობა სხვადასხვა ქვეყნების ვალუტით, ასევე ჩეკებით, ვექსელებით, ფულადი გზავნილებით და სხვა გადახდის დოკუმენტებით, რომლებიც უკავშირდება უცხოურ ვალუტას.
- ფინანსური რისკების ბაზარი - ემსახურება ფინანსური რისკების მართვას.
- დაზღვევის ბაზარი - ემსახურება ფინანსური რისკების დაზღვევასა და გადაზღვევას.
- სასაქონლო ბაზარი - ემსახურება მსხვილი საქონლის პარტიების ყიდვა-გაყიდვას.
- ნედლეულის ბაზარი - ემსახურება საქარმოო ნედლეულით ვაჭრობას.
- ფიუჩერსული ბაზარი - ემსახურება ფიუჩერსული კონტრაქტებით (ხელშეკრულებებით) ვაჭრობას.

ჩამონათვალის გარდა, ფინანსური ბაზრების ნაწილი იყოფა პირველად და მეორად კატეგორიებად. პირველად ბაზრებზე ხორციელდება ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით (ფასიანი ქაღალდების ემისია) ვაჭრობა. მეორეული ბაზრები კი ასევე ემსახურება ამ ფასიანი ქაღალდების შემდგომ გადაყიდვას და გადაყიდვას.

პირადი (კერძო) ფინანსები

პირადი (კერძო) ფინანსების ცნება, ხშირ შემთხვევაში, დაიყვანება პირადი ბიუჯეტის დაგეგმვაზე. პირადი ბიუჯეტის დაგეგმვის გავრცელებული მეთოდი ითვალისწინებს:

1. საბიუჯეტო პერიოდის ყველა საგულისხმო შემოსავლების შეტანას შემოსავლით ნაწილში, მათ შორის:
    - ხელფასი
    - პენსიები და კომპენსაციები
    - შემოსავლები საბანკო ანაბრებიდან და სხვა საბანკო შენატანებიდან
    - შემოსავლები კუთვნილი ფასიანი ქაღალდებიდან
    - სხვა არსებული შემოსავლები
2. შემდეგ ვადგენთ ბიუჯეტის გასავლის ნაწილს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს:

- სახლის გადასახადი და კომუნალური გადასახადები
- გადასახადი კვებაზე
- საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა
- შენატანი კრედიტებზე
- ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის შესყიდვა
- ცალკეული და გამორჩეული რისკების დაზღვევა (კერძო საკუთრება, ჯანმრთელობა)
- საპენსიო დარიცხვა
- ინვესტიციები

ჩვეულებრივ, პირად ბიუჯეტს ადგენენ 1, 3, 6 ან 12 თვით. პირადი ბიუჯეტის შედგენა რეკომენდებულია 3-5% პროფიციტის გათვალისწინებით.

შემოსავალი

ფინანსური გადაწყვეტები, ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილში, როგორც წესი, არ არის რთული - აქ მთავარია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს შემოსავლის არცერთი, შესაძლო წყარო. მთავარი პრინციპია - კაპიტალმა უნდა შექმნას კაპიტალი. თუ არსებობს წარმოების თავისუფალი საშუალებები - ეს რესურსი უნდა მუშაობდეს. თუ არსებობს უმოქმედო საკუთრება - იგი უნდა გაიცეს იჯარით ან არენდით. თუ რომელიმე თავისუფალ რესურსს არ შეუძლია შემოსავლის მოტანა და არ წარმოადგენს მომგებიან დაბანდებას (ანუ მასზე ფასი არ იზრდება), მაშინ იგი უნდა გაიყიდოს, ფული კი უნდა გაეშვას ინვესტიციებში.

ფინანსები ეს არის ის, რაც რეალურად "გაგვაჩნია", და რითიც შესაძლებელია ფინანსური ოპერირება. ფინანსური მართვის მთავარი მიზანია - არსებული ფინანსების რაც შეიძლება ეფექტური (ანუ მეტი მოგებით) განკარგვა. მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, დღევანდელ პირობებში, სათანადოდ მომზადებული პროექტისთვის და მსესხებლისთვის - კრედიტის მიღება არ წარმოადგენს დიდ პრობლემას.

არასასურველი "სექვესთრების" თავიდან ასაცილებლად, შემოსავლით ნაწილში არაა აუცილებელი ჩავრთოთ ის "მოსალოდნელი" შემოსავლები რომელთა მიღების ალბათობა 90%-ზე ნაკლებია. ამასთან ერთად, თუ დაუგეგმავი შემოსავალი მაინც გამოჩნდება, მაშინ უნდა დაიგეგმოს მისი ოპერატიული (მოკლე ვადაში) "უტილიზაცია". კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც შემოსავლების დაგეგმვისას უნდა გვახსოვდეს, ეს არის ის, რომ პენსიები და კომპენსაციები არსებული სქემებიდან, ყველაზე მომგებიანი სქემით უნდა ვიანგარიშოთ.

გასავალი

ბიუჯეტის დაგეგმვისას გვიწევს უფრო რთული ფინანსური გადაწყვეტების დაგეგმვა, ეს განსაკუთრებით ეხება ბიუჯეტის გასავლის ნაწილს. ამ შემთხვევაში, ჩვენ მივმართავთ სხვადასხვა მნიშვნელოვან რჩევებს:

- ხანგრძლივი "საბიუჯეტო პერიოდის" (6 თვე და მეტი) დაგეგმვისას, ნუ გამოგვრჩება ინფლაცია. თუ რაიმე რესურსს, წლის დასაწყისში, ერთი ღირებულება გააჩნია, ეს არ ნიშნავს, რომ წლის ბოლოს ამ რესურსს იგივე ღირებულება ექნება. უნდა ვისარგებლოთ ავტორიტეტული წყაროების მიერ შეფასებული ინფლაციის პროგნოზით და ჩავდოთ ეს პროგნოზი გასავლების გეგმაში.
- უნდა გავითვალისწინოთ, პროდუქტებზე და მომსახურებებზე ფასების ცვლილების წინასწარი ანონსები - ასეთების არსებობის შემთხვევაში. მაგალითად; თუ წინასწარ ცნობილია, რომ გარკვეული (ცვენთვის საბიუჯეტო) პერიოდის შემდეგ, ელექტროენერგია გაძვირდება განსაზღვრეული პროცენტით.
- ყოველთვის გვიწევს გავითვალისწინოთ ყველაზე იაფი პროდუქტების და მომსახურების ფასები, რომლებიც კი არსებობენ ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს კარგავს - კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპი. მეორეს მხრივ ეს სულაც არ ნიშნავს ხარისხის უგულებელყოფას. ნუ ჩავდებთ ბიუჯეტში უხარუსხო ან საეჭვო ხარისხის პროდუქტებსა და მომსახურებას. საჭიროა ავირჩიოთ ყველაზე იაფი, მაგრამ მისაღები ხარისხის კატეგორია. ეს განსაკუთრებით ეხება კვების პროდუქტებს, სამედიცინო და ფინანსურ მომსახურებას.

- კრედიტები აუცილებლად უნდა დაბრუნდეს, თუნდაც იმიტომ, რომ არ გავიფუჭოთ საკუთარი საკრედიტო ისტორია და გვქონდეს საშუალება მომავალშიც ვისარგებლოთ კრედიტით; ამიტომ ბიუჯეტის მუხლი - "გადასახადები კრედიტით სარგებლობისთვის", სარგებლობს მაღალი პრიორიტეტით, სხვა ხარჯებს შორის.
- რისკების დაზღვევა - ფინანსების სწორი მართვის აუცილებელი ნაწილია. რეკომენდირებულია - ყველა ხარჯების არანაკლებ 5%-ისა და კიდევ უფრო ჯობს 8-9% - გავუშვათ სხვადასხვა რისკების დაზღვევაზე. ეს საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა.
- გადასახადების შემცირების კანონიერი ხერხების ძიება - დასავლეთში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. თუ არსებობს, თუნდაც მცირე შესაძლებლობა - შევამციროთ საგადასახადო გადარიცხვები - ამით აუცილებლედ უნდა ვისარგებლოთ. ტუ გადასახადების მოცულობა ძალზე დიდია (და შესაძლო ეკონომიამ შეიძლება მოგვცეს საშუალება ვისარგებლოთ სპეციალისტის მომსახურებით), მაშინ აუცილებელია მივმართოთ ფინანსების კონსულტანტს (ან ვიქირავოთ პირადი ბუღალტერი).
- საპენსიო ფონდში რეკომენდირიებულია გადავდოთ შემოსავლების 7-10%. საპენსიო ფონდი, ეს პრინციპსი არის ხანგრძლივ-ვადიანი დეპოზიტიური შენატანი, მაგრამ მინიმალური რისკით.
- ინვესტიციები - ეს არის ყველაზე რთული ფინანსური გადაწყვეტილებების სფერო. ხშირად ამბობენ, რომ აქ აუცილებელია გაგვაჩნდეს განსაკუთრებული "გრძნობა", რომ მივიღოთ წარმატებული გადაყვეტილება. თუმცა, რომ დავივიწყოთ ყველა მისტიფიკაცია, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვატ, რომ საინვესტიციო გადაწყვეტილება - ეს არის საინვესტიციო ბაზრის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე მიღებული ღრმად გააზრებული აქტი.

საწარმოს ფინანსები

კორპორაციული ფინანსების ძირითადი ამოცანაა - ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა. ასევე მნისვნელოვანია ვიპოვოთ ოპტიმალური ბალანსი ბიზნესის შემოსავლიანობასა და ფინანსურ რისკებს შორის. ბიზნესის მიმდინარ ფინანსური მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც წესი მიმართავენ მოკლევადიან საბანკო კრედიტებს. ბიზნესის გრძელვადიანი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ხშირად მიმართავენ ობლიგაციების ან აქციების (არაფიქსირებული დივიდენდით) გამოშვების გზას. სწორედ ასეთი სტრატეგიული გადაწყვეტილებები, სბოლოო ჯამში განსაზღვრავენ ორგანიზაციის კაპიტალის სტრუქტურას. კორპორაციული ფინანსების სხვა მნიშვნელოვანი მხარე ითვალისწინებს საინვესტიციო გადაწყვეტილებებს, ანუ არსებული თავისუფალი რესურსების განკარგვის სახეებს და მეთოდებს. ინვესტიცია არის თავისუფალი მატერიალური რესურსის ჩადების მეთოდი, იმ იმედით, რომ ფასის მომავალი ცვლილება მოიტანს აქტივის ფასის გაზრდას. ინვესტიციების მართვა - ფინანსების უმნიშვნელოვანესი მხარეა, მის ნებისმიერ წარმოდგენასი, და მიტუმეტეს კორპორაციულ დონეზე. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გავაანალიზოთ შემდეგი ფაქტორები:

- თანაფარდობა: მიზანს - დროის პერიოდს - ინფლაციას - რისკებს - გადასახადებს შორის
- არჩევანი ჰეჯირების აქტიურ და პასიურ სტრატეგიებს შორის
- საინვესტიციო პორტფელის ეფექტურობის შეფასება.

ორგანიზაციების ფინანსური მენეჯმენტი ბევრ მუხლში გავს საბუღალტრო აღრიცხვას, მაგრამ საბუღალტრო აღრიცხვა განიხილავს უკვე მომხდარ ოპერაციებს, ანუ საბუღალტრო აღრიცხვის საგანია "ისტორიული" ფინანსური ინფორმაცია. ფინანსური მენეჯმენტი იყურება მომავალში და ითვალისწინებს მომავალი ფინანსური ოპერაციების ეფექტურეობის ანალიზს.

გადასახადები და მოსაკრებლები

სახელმწიფო გადასახადის ცნების ზუსტი განმარტება მოცემულია საქართველოს საგადასახდო კოდექსში.

საბიუჯეტო შემოსავლების უზრუნველყოფისთვის მრავალ ქვეყანაში წესდება შემდეგი ძრითადი გადასახადები:

- გადასახადი დამატებით ღირებულებაზე ანუ დამატებით ღირებულებაზე გადასახადი
- მოგების გადასახადი ანუ გადასახადი მოგებაზე
- გადასახადი ფიზიკური პირის შემოსავლებზე ანუ საშემოსავლო გადასახადი
- გადასახადი ორგანიზაციის ქონებაზე ანუ ქონების გადასახადი
- გადასახადი აზარტული თამაშების ბიზნესზე და სხვა

სახელმწიფო ვალი

ცალკე განმარტებას ითხოვს სახელმწიფო ობლიგაციები, ანუ როგორც მათ უწოდებენ "სახელმწიფო ვალდებულებების ობლიგაციები". ამ ფასიან ქაღალედებს, სახელმწიფო უშვებს და ავრცელებს როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს ერთგვარი კრედიტია, რომელსაც თავად სახელმწიფო იღებს.

რაც უფრო მდიდარია და სტაბილურია სახელმწიფო, მით უფრო კრედიტის მიღების რესურსი გააჩნია მას, და შესაბამისად მისი ობლიგაციებიც უფრო იყიდება. სწოედ ამიტომაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე დიდი ვალი გააჩნია.

მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, (რუსეთის და დსთ ქვეყნების ჩათვლით), საკუთარ სახაზინო რესურსებს აბანდებენ აშშ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში. რაც უფრო ეფექტურად შეუძლია სახელმწიფოს სესხის გამოიყენება, მიტ უფრო მომგებიანია მისთვის სესხის აღება, და პირიქით - თუ სახელმწიფოს არ შესწევს უნარი გამოისყიდოს აღებული სესხის პროცენტები, მაშინ სესხი მისი ბიუჯეტის იქცევა მძიმე ტვირთად.

სახელმწიფო შემოსავლების განაწილება

სახელმწიფო შემოსავლები ნაწილდება შემდეგი ხარჯვითი მუხლებით:

- თავდაცვა
- სამართალდაცვითი საქმიანობა
- წარმოება
- ენერგეტიკა
- კაპიტალური მშენებლობა
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა
- ტრანსპორტი
- საგზაო მეურნეობა
- კავშირგაბმულობა
- მეცნიერება
- ჯანდაცვა
- განათლება
- სპორტი
- კულტურა

ასიგნებების ფორმებს შორის გამოყოფენ სუბსიდიებს, დოტაციებს და სუბვენციებს.

საფინანსო ეკონომიკა

საფინანსო ეკონომიკა - ეს არის ეკონომიკური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის კავშირს ისეთ ფინანსურ სიდიდეებს შორის, როგორებიცაა: ფასი, დამატებითი ღირებულება, სააქციო კაპიტალი და ა.შ. ამ დარგში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - რეალური ეკონომიკური მაჩვენებლების, ფინანსურ მაჩვენებლებზე, გავლენის შესწავლა. ძირითადი კვლევების მიმართულებებია:

- შეფასება - აქტივის რეალური რირებულების განსაზღვრა
  - რამდენად მაღალია ამ აქტივის რისკები?
  - ნაღდი ფულის რომელ მოძრაობას შეუძლია აქტივის წარმოშობა? (ფულადი ნაკადების დისკონტირება)
  - როგორია მსგავსი აქტივის საბაზრო ფასი? (ფარდობითი ფასი)
  - დამოკიდებულია თუ არა ფინანსური ნაკადები სხვა აქტივებზე ან მოვლენებზე? (წარმოებული შეფასება)
- ფინანსური ბაზრები და ინსტრუმენტები
  - სასაქონლო
  - აქციები
  - ობლიგაციები
  - სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტები
  - წარმოებული ფასიანი ქაღალდები
- ფინანსური ინსტიტუტები და წესები

რესურსები ინტერნეტში

- საქართველოს საინვესტიციო - საბირჟო ცენტრი [1]
- დიდი ოთხეულის ვებ–გვერდი [2]
- დიდ ოთხეულთან ინტერნეტ–ბმულების ცხრილი [3] რატგერსის უნივერსიტეტის ვებ–გვერდიდან;
- http://ilovebig4.com, საინტერესო ფაქტები დიდი ოთხეულის შესახებ;

მინიშნებები

[1] http://www.vef.ge

[2] http://big4.com

[3] http://raw.rutgers.edu/raw/internet/big5.htm,

სტატიის წყაროები და ავტორები

ეკონომიკა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2160056 *რედაქტორები*: Alsandro, Dobo, Gemini1980, Island, MIKHEIL, Otogi, Zangala, ავთანდილ, ლია თოდუა, პაატა შ, 11 ანონიმური რედაქტირებები

მიკროეკონომიკა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2003137 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Melberg, Zangala, 5 ანონიმური რედაქტირებები

მაკროეკონომიკა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2149914 *რედაქტორები*: Alsandro, Dobo, LIZIK, M., Temuri rajavi, Zangala

განვითარების ეკონომიკა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2144673 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Otogi, პაატა შ

ეკონომიკური გეოგრაფია *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=1953054 *რედაქტორები*: MIKHEIL, Otogi

ეკონომეტრიკა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2101078 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Kakito, M., Nodar Kherkheulidze, Tutber, Unmerklich

გეგმიური ეკონომიკა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2138148 *რედაქტორები*: Island, ლია თოდუა, პაატა შ

ეკონომიკური სისტემა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2123508 *რედაქტორები*: Dobo, ლია თოდუა

მონეტარული პოლიტიკა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=1955339 *რედაქტორები*: BRUTE, Island, Melberg, Mtm561, Sosomk, 2 ანონიმური რედაქტირებები

პოლიტიკური ეკონომია *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2129497 *რედაქტორები*: Island, ლია თოდუა

საბაზრო ეკონომიკა *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2138643 *რედაქტორები*: Alsandro, Dobo, პაატა შ

ფინანსები *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2157529 *რედაქტორები*: Dobo, Dobo123, Henry McClean, MIKHEIL, Melberg, Otogi, Zangala, პაატა შ, 6 ანონიმური რედაქტირებები

Image Sources, Licenses and Contributors

ფაილი:Ballard Farmers' Market - vegetables.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Ballard_Farmers'_Market_-_vegetables.jpg *ლიცენზია*: GNU Free Documentation License *რედაქტორები*: Joe Mabel

ფაილი:GDP PPP Per Capita IMF 2008.svg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:GDP_PPP_Per_Capita_IMF_2008.svg *ლიცენზია*: Creative Commons Attribution 3.0 *რედაქტორები*: Powerkeys

ფაილი:New York Stock Exchange Flags.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:New_York_Stock_Exchange_Flags.jpg *ლიცენზია*: Creative Commons Attribution 2.0 *რედაქტორები*: C. G. P. Grey

ფაილი:Wall Street Sign NYC.jpg *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Wall_Street_Sign_NYC.jpg *ლიცენზია*: Creative Commons Attribution-Sharealike 3.0 *რედაქტორები*: User:JSquish

ლიცენზია

Creative Commons Attribution-Share Alike 3.0 Unported
//creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/